რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა... 9 მან. | სამის თვისა... 3 მან.
ექვსის თვისა.... 5 მან. | ერთის თვისა... 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზედ“

ნახევარ წლით პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდე. ფასი ხუთი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის ოთხი მანათი.

ივნისის პირველის რიცხვების ნომრები რედაქციაში აღარ არის.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი.»)

**პეტერბურღი**, 24 ივნისს. გამოვიდა ბრძანება შემცირდეს დროშების რიცხვი ქვეითი ჯარების პოლკებში. დარჩება ერთი დროშა, რომელიც პირველს ბატალიონს უნდა ჰქონდეს და სხვები უნდა შაინახონ და გამოიტანებიან მხოლოდ წმინდა გიორგის ჯვრის დღესასწაულობის დროს.

**კაირი**. ჯერ ხოლერიდამ მომკვდარა სულ 1,116 კაცი (ათას, ას თექვსმეტი).

**პეტერბურღი**, 25 ივნისს. გუშინ ნიკოლაევსკის საზამთრო სასახლეში მიულოცეს სხვა-და სხვა მხრიდამ მოსულმა დეპუტაციებმა ხელმწიფე იმპერატორს მშვიდობიანად დაგვირგვინება, დეპუტატები 12 საათზედ შეიყარნენ სასახლის ერთს დიდს დარბაზში და როდესაც იმპერატორი მეუღლით გამობრძანდენ, ერთ ხმად გაისმა სიხარულის «ურა!» დეპუტატებმა ჯერ-ჯერისად მიართვეს პურ მარილი ვერცხლის «ბლიუდოებზედ». ზოგიერთმა დეპუტატებმა მიართვეს ძვირფასი ხატები, ხელმწიფე იმპერატორმა გულითადი მადლობა გადუხადა დეპუტატებს. დეპუტატებმა ერთხმად «ურა» დასძახეს და გამოეთხოვნენ, ზოგი მათგანი ხელზედ ემთხვია დედოფალს.

**ლონდონი**. გლადსტონმა შეატყობინა ქვეით პალატას, რომ მლესეპსი უნდა მოვიდეს და იმედია მეორე სუეცის არხის გაჭრა გადასწყდებაო.

**პეტერბურღი** 26-ს. კავკასის სამხედრო მმართველობა (Военно народное управленіе) გაუქმდება და ეს ნაწილიც შევა მთავარ მეუფროსის მორჩილებაში, თანამდებობანი: ჯარების უფროსობისა (командующаго войсками) განყოფილებათა უფროსისა, შტატი და წოდებათა შორის მიწის მფლობელობის გამშინჯავი კამისია ქვემო დაღესტანში გაუქმდებიან და ეს მაზრა ჩაჰბარდება სამხედრო გუბერნატორს. გუნიბში და ანდიაში დაწესდება საოლქო მმართველობა. დერბენდის ქალაქის უფროსობა (градоначальство) გაუქმდება. ბათუმის მაზრა, სოხუმის განყოფილება შეუერთდებიან ქუთაისის გუბერნიას ყარსის გუბერნიის მართვაშიაც ცვლილება მოხდება. გაუქმებული სამიწა-წყლო კომისიების მაგიერ სოხუმში, ქვემო დაღესტანში და ზაქათალაში დაარსდება ერთი საერთო კამისია. ყველა აქ ჩამოთვლილი ცვლილება უნდა მოვიდეს სისრულეში 1 ივლისიდამ ამ 1883 წლისა.

## გულ-უხვობა შორს განუჭვრეტად.

თბილისი, 27 ივნისს.

რამდენიმე დღის წინად გაზეთებში დაიბეჭდა ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის სხდომის ანგარიში. ამ ანგარიშში, სხვათა შორის, ის ადგილია საყურადღებო, რომელიც ბანკის მოგების საზოგადო საჭიროებათა დაკმაყოფილებას შეეხება. თვრამეტი ათასი მანეთი კი მიუცია კრებას ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლისთვის; დანაშთენი თითქმის ოცი ათასი მანეთი დაურიგებია საქველ-მოქმედო და კეთილის საქმეებისათვის: არავის თხოვნაზე კრებას უარი არ უყვია; ამ გვარი გულ-უხვობა ძლიერ მოსაწონია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა გულ-უხვობის საგანი კეთილი და სასარგებლოა. გარდა იმ თვრამეტ ათასის მანეთისა, რომელიც სააზნაურო სკოლას მიუღია, დანარჩენი ფული თითქმის ერთიანად სწავლა-განათლების დასახმარებლად შეუწირავთ.

განმეორებით ვაღიარებთ, რომ ეს ძალიან კეთილი და მოსაწონი საქმეა. მხოლოდ არ შეგვიძლიან ამ შემთხვევაში ერთ საგანს არ მივაქციოთ ყურადღება. ორ კეთილ საქმეში კაცმა ის უნდა ამოირჩიოს, რომელიც ქვეყნისათვის უფრო სასარგებლო და საშვილიშვილოა. ვინ იტყვის, რომ, მაგალითად, სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საზოგადოებანი კეთილი და სასარგებლო საქმენი არ არისო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ გვარის საზოგადო ფულების განაწილებით ვერც ერთს ჩვენს საზოგადო საქმეს მტკიცედ ფეხზე ვერ დავაყენებთ, ყოველთვის, მუდამ წელიწადს საბოძიკოდ გამზადებულნი იქნებიან და რაიმე უბრალო მოვლენას შეუძლიან იმათი არსებობა მოსპოს. როგორც ბანკების დაარსების დროს, აგრეთვე შემდეგშიაც, საზოგადოებას განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული იმ სკოლებზე, რომელთაც მხოლოდ ბანკებისაგანა აქვთ საზრდო და რომელთაც სათავად-აზნაურო სკოლები დაერქვა.

რაც სახელი გნებავთ, უწოდეთ ამ სასწავლებლებს, საქმე ის არის, რომ

«დროების» ფელეტონი 28 ივნისს.

### თბილისიდგან კახამდის

თბილისის მტვერი.—ლოჭინის სიგრილე.—სართიჭალის ქოხები და ნემცების ლამაზი სახლები.—ივრის ხეობა და ყანები.—ახალი წისქვილები.—კაჭრეთის სტანციის «სტაროსტა».—ბაკურ-ციხე.—ჩალაუბნის გზა.—გიჟი ცხენები.—ს.ს. კარდანახი, ანაგა, ვაქირი.—მაშნაარი და მისი ვენახ-ყანები.—ალაზნის აქეთი (მარჯვენა) და იქითი ნაპირები.—ლაგოდეხი.—ბელაქანი.—ზაქათალა.—გულუკი (ვარდოვანი) და კახი.—გაქცეული ინჟინერი.—ყანები და ბრინჯები.

8 ივნისია, საღამოს 7 საათი. თბილისში მეტად ცხელა. უბერავს სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი. ქუჩებში დგას მტვერი. ჩვენს ეტლს მტვრის ბურუსი ახვევია. გამოვედით ქალაქიდამ, დავადექით თბილის-სიღნაღის ფოსტის გზას. სურათი შეიცვალა. სიცხემ იკლო; ჰაერა გაგრილდა. მტვერი აღარ გვაწუხებს. მირიხინებს ჩვენი ეტლი მშვენიერს ლოჭინის გზატკეცილზე. ჩავედით ღელეში. მეეტლემ ძალიან გაუჩქარა. «აქ საშიშია, გვეუბნება მეეტლე, ქურდები (ელები) დაწანწალებენ აქაურობაში. ამ დღეებში აიმ გაოხრებულ დუქანთან ვიღაც მალაკნები გაცარცვესო, შარშან მეც ცხენები წამართვესო, მაგრამ მერე შევეცოდეთ და დამიბრუნეს.» აქვე შეგვხდა ერთი დასტა გზის ყარაულებისა. პატარა იქით თვითონ აქაური ბოქაული გზის დასახედად მოდიოდა. ამასობაში ჩვენც შუაღამისას სართიჭალას მივედით. ნემეცების ლამაზი, მწკრივად აშენებული სახლები თავის მშვენიერის სასკოლო შენობით, დიდის ეკლესიით ბაღებ შუა გაბადრულის მთვარის შუქზე იზიდვენ მგზავრის ყურადღებას. ყრუ დროებაა. მხოლოდ იორი და ჩვენი ეტლი არღვევს ამ მყუდროებას. აი ქართველ სართიჭალელების ორმოებიც (ქოხები) თავის ბინძურ, უშნო ეზოებით, მცირე ეკლესიით. «ხარი ხართან დააბი, ან ზნეს ისწავლის ან ფერსაო» ნათქვამია, მაგრამ სართიჭალის ქართველები ჩინელებრივად ეწინააღმდეგებიან ამ ანდაზას.

იორზე გაგვითენდა. ყანები მშვენიერია. ივრის ხეობა ლელავს. არასოდეს მე აქ ამისთანა კარგი ყანები არ მინახავს. აი იქით გლეხები ხნავენ. ბუთანში შვიდ-ულელა ხარი უბიათ. ივრის ტოტზე ახალი წისქვილები გაუკეთებიათ. სად სოფლებია, სად წისქვილები! მთის ძირობიდამ (აივ-გომბორ-სიღნაღის მთების ძირობაზე,—აქეთ-იქით მოსახლობენ (უმთავრესად) კახელები და ქიზიყელები) 10—15 ვერსი მაინც იქნება. დილისით 11 საათზე მივედით კაჭრეთში. ჩამოცხა. კაცს გული უწუხდება, სუნთქვა ეხუთება: მხოლოდ მცირე ნიავი შუბლს უგრილებს. კაჭრეთის სტანციის «სტაროსტას» კი ეტყობა არა სცხელა, არ გვიბამს ეტლსა. ალბად ცხენებს აჭედინებს! «ბარინუ სიჩასუ, სიჩასუმ,» ამასობაში 12 საათი გახდა.—იცოდეთ ბატონებო, საცა სომეხია გზის მოიჯარადრე, იქ, თითქმის, ყველგან სტანციაში მოსამსახურენი კრიები არიან. მიხვალ სტანციაში, ცხენებიც არის, მეეტლეც. მოგიდებენ რაიმე მიზეზს, ან გეტყვიან ცხენები არ არისო, ან და მოგახლიან: «სიჩას», ეს «სიჩასი» ვინ იცის რამდენ «ჩასათ» გახდება ხოლმე, სანამ გავისტუმრებენ. გზაზედაც კრუა გულს გიწვრილებს. საათის განმავლობაში დადებულის 10-12 ვერსის მაგიერ გაივლის 7-8-ს. ვა, ალა! ცხენებს გაფრთხილება უნდა. ჩვენდა სასიხარულოდ ამ ხელად ჩვენი მეეტლე რუს-ქართველი იყო, კარგის ცხენებით. ჩვიდმეტი ვერსი 80 წამს გაგვარბენინა ახალს ჩალაუბნის გზაზე. *) რამოდენა შრომა

*) ეს გზა ამ რამდენიმე თვის წინად გაიხსნა.

ისინი ნამდვილი ქართული სასწავლებლები არიან; იმათ საშუალებით ჩვენ გვწადდა ჩვენის მოზარდ თაობისათვის მიგვეცა წესიერი და პედაგოგიისაგან მოსაწონი განათლების გზა და მიმართულება. დღემდის ეს სკოლები ერთის ან ორის კლასისაგან შესდგებიან. დაიბადა აზრი, რომ ეს სკოლები საშუალ სასწავლებლებლათ უნდა გადაკეთდეს, ესე იგი ჯერ პროგიმნაზიებათ და მერე გიმნაზიებათ. ეს სწორედ მიუცილებელი საჭიროებაა ჩვენთვის; სხვა რომ არ იყოს, წაიკითხეთ სხვა-და-სხვა გიმნაზიების უფროსების განცხადებანი გაზეთებში, რომლითა საშუალებით ისინი აუწყებენ საზოგადოებას, რომ არც ერთს კლასში ვაკანსია არ არისო, გარდა მოსამზადებელ განყოფილებისაო. ასე რომ ამ მხრითაც ჩვენთვის დაბრკოლებაა, სხვა უფრო საგრძნობელ დაბრკოლებათა გარდა.

დღესაც, როცა ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლები მხოლოდ ორის კლასისაგან შესდგებიან, უნდება იმათ ოცი ათას მანეთზე მეტი. სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო სახლების ქირა გაუწყვეტს ილაჯს ჩვენს საზოგადოებას; ქუთაისში არ ვიცით რას აძლევენ სახლების ქირას და ტფილისში ბანკი ოთხას-ორმოც-და-ათ თუმანს იხდის სახლის ქირას ყოველ წლობით. როცა ზემოხსენებული სკოლები საშუალ სასწავლებლებად გადაკეთდება რა თქმა უნდა, ხარჯი გაოთხკეცდება; თავიდანვე უნდა ვიფიქროთ, გვექნება მაშინ იმოდენი საშუალება, რომ ამოდენა ხარჯი ავიტანოთ? თუ ჩვენი საზოგადოება იმ აზრისაა, რომ სათავად-აზნაურო სკოლები სწორედ საშვილიშვილო საქმეა, მაშინ იმასაც უნდა ზრუნავდეს, რომ ეს საქმე საეჭვო გზაზე არ დააყენოს. აქამომდეც უნდა გვქონებოდა ეს სახეში და სკოლებისათვის ისეთი თანხა შეგვედგინა, რომ რამოდენიმე წლის შემდეგ შეგვძლებოდა ადგილის ყიდვა, სახლის აგება და ისეთი ნივთების და მოწყობილობების შეძენა, რომელნიც დიდს ხარჯს მოითხოვენ, მაგრამ აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ ყოველ ამ გვარ დაწესებულებისათვის. ამ ექვსის შვიდის წლის განმავალობაში ქუთაისის ბანკის მოგებისაგან თითქმის ოთხმოცი-ათას მანეთამდე დაიფანტა ამ გვარად. ჩვენის გულუხვობისათვის ცოტა რომ თავი შეგვეკავებინა, თუმცა მართალია, როცა კეთილის საქმისათვის გთხოვენ, ძნელია, უარის თქმა,—დღეს ჩვენის სკოლების ბედ-იღბალი მტკიცე და საიმედო საფუძველზე იქნებოდა დამყარებული.

გვიკვირს, ქუთაისში მაინც, როგორ არც ერთმა ეგრედ წოდებულის ახალ-თაობის წევრმა არ იქონია იმოდენი შორს—განმჭვრეტელობა რომ აეხსნა საზოგადოებისათვის ეს საგანი. ნუ თუ ამ გვარი უბრალო საქმე იმათთვისაც ძნელად—გასაგები და მისახვედრი იყო? და არა გვჯერა. ალბად, ცრუ ლიბერალობამ ჩაუგდოთ ენა მუცელში, რომ განათლების წინაამდეგობა არავინ დაგვწამოსო.

## ახალი ამბები.

— გუშინ-წინდელ ნომერში ბნელად ვუამბეთ მკითხველს ერთის ქალის მოტაცების ამბავი ქუთაისში. ეხლა დაწვრილებით გვწერენ უფრო: აი საქმე როგორ ყოფილა: ერთს მოქალაქიშვილს, ზოკიელოვს, მოუნდომნია ასათიანის ქალის შერთვა, რომელსაც დიდი მზითევი ჰქონდა თურმე. ქალს უარი უთქვამს. ზოკიელოვს შეუყრია სამი ამხანაგი და ფაეტონით 22 ივნისს, 10 საათზედ თავს დასცემია ქალის სახლს. ალიაქოთში ქალიც და დედაც დაუჭრიათ და მშველელები რომ მოსულან, თავსდამცემელნი გაქცეულან. თითონ ზოკიელოვი ეხლა სამართლის ხელშია თურმე, მაგრამ იმის მხლებლებისათვის კი ვერ მიუგნიათ.

— მარტვილიდამ გვწერენ, რომ ამ საზოგადოების გლეხნი მეტის-მეტ სიღარიბეში ყოფილან ჩაცვივნულნი. სახნავ-სათესი ადგილები თითქმის სულ სახაზინოა, ან საბატონო და ყოველი გლეხი ნახევარს აძლევს მოსავლისას მიწის მოსახნავში. ამას გარდა 1879 წლის გაჭირებამ დიდს ვალში ჩააგდო თურმე მარტვილის საზოგადოება. მაშინ მაზრის სამმართველოსაგან ამ სოფლელებს მიეღოთ 6000 ფუთი სიმინდი, სანახევროდ დამპალი და ვალი ეკისრათ 6760 მანეთისა. ამ ვალიდამ საზოგადოებას გარდაეხადა 1882 წ. 2341 მან. და დღემდის კიდევ მართებთ თურმე 4419 მან. ამ ვალის გადახდას არამც თუ წრეულს, ვგონებთ, რამდენსამე წელიწადსაც ვერ შეიძლებენო.

— მალე დასტყობია ბაქოს ტრანზიტის მოსპობა. აი რასა სწერენ გაზ. „კასპში“: «ჩვენი ქალაქი თან-და-თან ცარიელდება; სახლების ფასმა ერთიორად იკლო. გემები უსაქმოდა ხირიან ზღვის პირად, რომ სპარსეთში აღარაფერი აქვთ წასაღები.»

— ვლადიკავკაზში ეხლა დაბარებულნი არიან წარმომადგენელნი თერგის მაზრის სხვა-და-სხვა ხალხებისა, რომელთაც უნდა მოილაპარაკონ სალდათის აკრეფის თაობაზედ. («Терекъ»).

— იმ კლდეს, რომელიც გადმოწვა ყაზბეგის ქვეით, ექვსს ვერსზედ, გაუჭყლეტია ერთი მეფურგუნე. თერგში ჩაწოლილს კლდეს პატარა ხანს სულ დაუგუბებია თერგი.

— მოსკოვის გაზეთები, განსაკუთრებით კატკოვისა და აქსაკოვის ორგანები ძალიან ემდურიან ევროპიელ გაზეთების კორესპონდენტებს, ნამეტნავად ბერლინელ და ვენელ გაზეთებისას, რომელნიც [illegible] იმპერატორის გვირგვინის კურთხევაზედ დაესწრნენ მოსკოვში. დიდი პატივისცემა და პურ-მარილი, ჩივიან კატკოვი და აქსაკოვი, ნემეცურ გაზეთების კორესპონდენტებმა უშვერის ლანძღვით გადაგვიხადესო».

— გაზეთები გვატყობინებენ, რომ ძალიან მალე გამოვა კანონი, რომელიც ნებას მისცემს მშობლებს თავიანთ უკანონო შვილები კანონიერად ჩარიცხონ.

— დუშეთიდამ გვწერენ, რომ ამისთანა მოსავალს ჯერ არავინ მოსწრებიაო. ერთ ნაირად ემადლიერებიან, როგორც პურისა და ქერების მოსავალს, ისე სიმინდს და თივას. თუმცა დუშეთის გარეშემო მაისის დამდეგს დაჰკრა სეტყვამ, მაგრამ ნამუშავარმა ისევ წამოიწია და თითქოს უფრო გაკეთდაო.

— ბათომიდამ გვწერენ, რომ ქართულს დრამატიულ დასს წარმოუდგენია იქ «თამარ ბატონიშვილი», რამდენიმე სურათები «სამშობლოდგან» და ბოლოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბათომის სკოლის სასარგებლოდ—«აყალ-მაყალი» დივერტისმენტით.

კორესპონდენტი მწარედ ჰკიცხავს, ზოგიერთა არტისტების დაუდევნელობას, რომელთაც როლები სრულებით არ იცოდნენ და თუთიყუშივით ისროდნენ კულისებიდგან გაგონილს სიტყვებსაო!

საფაროვისამ დაგვანახვაო თამარის როლში, რომ იმას დრამატიულ როლების ასრულებაც შეუძლიან ნიჭიერად. ანდრონიკოვისას რუსუდანის როლში დედოფლის დარბაისლობა და დინჯობა არ ეტყობოდა, მეტად შატა-ბუტობდა. ბ. მაღრაძეზე ლაშა გიორგის როლში

---

ეტყობა ამ გზას! ჩამოუქრევინებიათ მთა-კლდენი, გაუსწორებიათ მინდორ-ღელენი და გარეთ კახეთი შიგნითთან შეუერთებიათ.

ბაკურ-ციხის ახლოს, ერთს მშვენიერს ღელეში, ლამაზ კორდებ შუა ჰხედავთ სოფ. ჩალაუბანს, ხეხილიანს, გრილ ჰავიანს. აქ პური ისევ ლურჯია, საოდოშეთ, 10-15 დღეზე ძლივს დასრულდება. მთები ჯაგნარ-ტყიანია; გზის მარჯვნივ ღრმა ღელეში ნაკადული დაშრალია, ხოლო აქა-იქ გადმოჰქუხს ანკარა წყაროები. აქვე, კაკლის ქვეშ, ხბორები სძოვენ, გვერდით პატარა მწყემსი სდგას თავის სტვირით. ჩვენმა ეტლმა ბაკურციხემდის მიგვაფრინა. დიდებული პანარამაა შიგნით კახეთისკენ. იქ დევი კავკასი აყუდებულია. მის წვერებზე თოვლია. ქვემო კალთებზე და ალაზნის მარცხენა ნაპირამდის ტყეები, იმას აქეთ, მარჯვენა ნაპირზე, ცივ-გომბორამდის ყვითელი ზეწარი: ყანები, ყანები და ყანები. ბაკურ-ციხე მშვენიერი ადგილია (და რომელი ადგილი არ არის მშვენიერი ჩვენს კურთხეულს საქართველოში?!). სახლები ლამაზი, ხშირად ქვითკირისა, ბუხრიანი, ორ-სართულიანი. აგრეთვე ქართული დარბაზი. მრავალი ხილის ხეები, უზარ-მაზარი კაკლები, ლეღვები, ვენახები კარგად შემუშავებული. წყაროები ბლომად, დიდ-დიდი ნახირი ძროხა რიყეზე ჰყრია, წყალ-დალეული. კამეჩები გუბეში ბანაობენ. მწყემსები სხვა ბიჭებთან ყაყანებენ. «შენ ნავში*) რათ ჩაყარე კამეჩები, ეი, ოხერ-ტიელო შენა», აგინებს სოფლის კაცი თავადის მეძროხეს. იმისკენ ძალაა, ამიტომ ისიც უკეთესებს ეუბნება გლეხსა.

აქედგან გაქანება და კარდანახში თავის ამოყოფია ერთი იყო. მეტად დიდი სოფელია კარდანახი. დიდ-დიდი ბაღები, ხილი ყოველ გვარი, გზები აქანებულ-დაქანებული მთის ფერდობზე. ქვემოთ ყანები, ველები, საქონელი ალაზნის ველს მოსდებია, ხალხი ბაღებში მუშაობს. ჩვენი ეტლის ცხენები როგორღაც გიჟობენ, ტლინკავენ. ერთს სივიწროეში შეგვხვდა ცარიელა ურმით მიმავალი ქიზიყელი. მოუქნია თავის შავთვალას შოლტი და ჩვენი ნაპირა ცხენი დააფთხო; მიემხრნენ სხვა ცხენებიც, მოიტაცეს ეტლი და კინაღამ კოტრიელა არ გვათამაშეს. ძლივს მოვრჩით ხიფათს. აქ გვიამბო მეეტლემ, რომ ამ ცხენს ჯერ ერთი კაცი მოუჭამიაო. ვიღაც თავადიშვილი (მგონი ვაჩნაძე სთქვა) დაჩეხა და მოკვდაო. მერე ეს ცხენი ფოსტის მეიჯარადრეთ უყიდნიათ. ბატონებო, განა ამისთანა კისერ-სამტვრევ გზებზე შეიძლება გიჟი ცხენების შენახვა! ჩვენ თუ არა, სხვას ხომ ვისმეს ხვალ-ზეგ კისერი მოატეხინა. ჩვენ თუ დღეს გადავრჩით, ხვალ ხომ სხვა გადისროლეს ღრმა ღელეში! გაფთხილდით, მგზავრებო! ბაკურ-ციხეში ეტლზე რომ შებძანდებით, ჯერ იკითხეთ «ეს ის ცხენი ხომ არ არის ვაჩნაძის მკვლელი-თქო» და ისე გაბედეთ მგზავრობა, თორემ «კოტრიელა, კოტრიელა, ჰერი ბიჭო კოტრიელა!»

კარდანახს ახლოა ვაქირი და ანაგა ერთმანეთზედ გადაბმულნი არიან. ყველა ეს სოფლები მაშნაარითურთ ცივ-გომბორ-სიღნაღის მთების კალთებზეა; მათ მაღლიდგან დაჰყურებს ციხე-შემოვლებული სიღნაღი, ბოდბიდამ წმიდა ნინოს ეკლესიის სამრეკლოდა ტიბაანიდამ ხირსის მონასტერი. მაშნაარისკენ ისეთი სეტყვა ყოფილა, რომ ყანები და ვენახები

---

*) რადგან ბარში ალაზნის მეტი წყალი არ არის, და ისიც შორს არის, ამიტომ მწყემსები ძროხას ზემოთ წყაროებზე მოერეკებიან ხოლმე.

იმას ვიტყვით მხოლოდ, — ისეთი მეფეები რომ ჰყოლოდა ჩვენს ერს, როგორც იყო მაღრაძე სცენაზე, აქამდის ჩვენ დედა მიწის ზურგიდგან განადგურებულები ვიქმნებოდითო.

«სამშობლო» საზოგადოდ სუსტად წავიდა. აქ ის იყო დამნაშავე, რომ ნაწყვეტ-ნაწყვეტი სურათები იყო ამოღებული სცენის უქონლობის გამო და ამიტომ ის ეფექტი აღარ ჰქონდა „სამშობლოს", როგორც მაშინ როცა სრულებით არის ხოლმე წარმოდგენილი.

სკოლის სასარგებლოდ დარჩა 64 მანეთი. დიდის მადლობის ღირსნი არიან ჩვენის ქართულის საზოგადოებისაგან ბ. მოხევე, მესხიევი და საფაროვისა, რომელთაც არ მიბაძეს აბაშიძეს და ანდრონიკოვისას და სანამ სკოლის სასარგებლოდ არ გამართეს წარმოდგენა, არ წავიდნენ ოზურგეთში.

გარდა ამისა, არა ერთხელ გაუწევია თანაგრძნობა ჩვენის სკოლისთვის ქ. შუროვლისას და ახლაც დიდი შრომა გასწია. ესეთივე შრომა მიიღეს: ბ.ბ. გაბაშვილმა, ზედგინიძემ კლდიაშვილმა და სარდიონ ამირეჯიბმა.

ჩვენმა ნიჭიერმა აქტრისა საფაროვისამ ბათუმის საზოგადოებისაგან მიიღო საჩუქრად მშვენიერი ალბომი.

## «დროების» კორესპონდენცია.

ფოთი, 24 ივნისს. «დრონი მეფობენო» ნათქვამია და სწორედ ასე დაემართა ფოთსაც. იყო დრო, როდესაც პირველი ადგილი ეჭირა მას და როდესაც ზოგიერთა ქალაქებს, სოხუმს და ყულევს თვალები დაახუჭვინა; მაგრამ დაბრუნდა ჩარხი უკან და ფოთი ბათუმის ჩვენსკენ დარჩენის შემდეგ ცოტათი შესუსტდა და ახლა, როცა ბათუმის რკინის გზა გააკეთეს და ფოთის გზა ტოტათ ჩათვალეს, რომელზედაც ორთქლით მატარებელი თავის რიგზე აღარ დადის, ეს სისუსტე უმეტესად შეეტყო. აღარ არის ის ხალხის მოძრაობა დავაჭრობა, რომელიც აქამდის იყო, მაგრამ აქაური ვაჭრები და მცხოვრებლები არა ჰკარგვენ იმედს და კიდევ არა შორდებიან თავიანთ შეჩვეულ ადგილებს.

პირველად ფოთის ვაჭრები დააშინა რუსეთის სავაჭრო საზოგადოების აგენტმა ვაკიემა, რომელიც შეუდგა ფოთიდგან სააგენტოს ბათუმში გადატანას, მის მაგივრად ფოთს გაუჩნდა ერთი დიდი მოიმედე კაცი, რომელიც ჰხედავს ფოთის უპირატესობას კავკასიის ნაწარმოების უფრო ადვილად გადატანაში(?). ეს არის ბ. როდოკანკი, შთამომავლობით ბერძენი, რომელიც ახლა ადგენს კავკასიის სავაჭრო კამპანიას და უნდა კონკურენცია გაუწიოს რუსეთის საზოგადოებას.

მას აქეთ რაც ბათუმმა პირველობა წაგვართვა ჩვენ გვაიმედებდა ამერიკის ნავთის კამპანია, რომელსაც სურდა ნავთის ზავოდების გაკეთება ფოთში, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ახლა გაზეთებიდგან ისმის, რომ ესეც ბათუმში გადააქვთო. გაზეთებს ჯერ-ჯერობით ვერ ვერწმუნებით. იმედი გვაქვს, ეს კამპანია კარგად შენიშნავს რომ ფოთი ამ მხრით ბათუმსა სჯობს, ფოთისკენ უფრო მოკლე და სწორე გზაა, ვიდრე ბათუმისკენ; ფოთში ტყე მრავალია, ბათუმში კი არა. აგრეთვე ფოთის საზოგადოებაც აღმოუჩენს მას ყოველსავე შემწეობას. თუ ეს მოხერხდა, ჩვენი ქალაქი პატარას მაინც სულს მოიბრუნებს და სრულად წყალწაღებული არ იქნება..

## მგზავრის წერილი.

გვირას, 19 თიბათვეს, მე მომიხდა ჯავის-ხეობისკენ გამოგზავრება. მე წავედი ს. ხეითიდგან ს. მარწემ-ქემერტისკენ, ამ სოფლის ძირში არის მლაშე წყარო, რომელსაც საქონლის სასმელად ხმარობენ. იქნება ამ ადგას მარილის მთაც გამოჩნდეს. აქედგან გავიარე ჭრიის სოფლებზედ. ამ სოფლებში სცხოვრობენ ოსები, ნახევრად გაქართველებულნი. ჭრიის სოფლები სხვა ოსების სოფლებსავით მეტად დაფანტულნი არიან. ამ სოფლის ერთ მაღლობ ადგზედ ვნახე შეგროვილი ხალხი ერთ სალოცავ ადგილის წინ, სადაც მოეტანათ ამ ცოტასხანში ბლაღოჩინის ჩაგონებით ხეები და სხვა მასალა ეკლესიის ასაშენებლად. მე დიდად მიკვირს ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისაგან, რომ დღემდის არ უზრუნია ეკლესიის აშენებისთვის. ჩვენ აქამდის ვუჩიოდით სკოლების უწესოდ წარმოებას, ახლა გავიგეთ, რომ ეკლესიებზედაც მცირედსა ზრუნავს.

აქაური სამღვდელოება მეტად დიდ გაჭირვებაში ყოფილა, როგორც შემამჩივლა ზოგიერთმა. საწყლებს თავად მცირედი ჯამაგირი ეძლევათ (240 მანეთიდგან 300 მანეთამდინ წელიწადში) და ამასაც თავის დროზედ არ აძლევენ. გაივლის რვა-ცხრა თვე და ძლივს მაშინ მიიღებენ ხოლმე პირველის სამის თვის ჯამაგირს. სხვა შემოსავალი აგრე რიგად არა აქვთ რა თავიანთ სამრევლოდგან. ამ გვარ ქცევით მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება ართმევს ყოველს ენერგიას თავის სამღვდელოებას და ესენიც იძულებულნი არიან გულ ცივად მოექცნენ თავიანთ საქმეს. ამ გვარის მოქმედებით ზემოხსენებული საზოგადოება ვერც სწავლას გაავრცელებს და ვერც სჯულს, ორივ მეტად ცუდს მდგომარეობაშია, ასე რომ იმედია სწავლის და სჯულის გავრცელების მაგიერ დაამხოს იგინი.

ჭრიის სოფლებიდგან გაველი დიდ ლიახვ გაღმა, ს. ჯავაში, სადაც ღამე გავატარე. ჩემმა პატივ-ცემულმა მასპინძელმა გამიწვია სალაშოს ადგას, რომელსაც ოსები ნიხას-ს ემახიან (ნიხას —ლაპარაკი, ბჭობა), მივახლოვდით თუ არა იქ მყოფმა ოსებმა ჩვეულებრისამებრ თვისისა სალამი მოგვცეს. მე ვკითხე იმათ, როგორა სცხოვრობენ. იმათ ოსურად მიპასუხეს, — მადლობა ღმერთს, ამ წელს კარგი მოსავალი მოგვივიდა. (ლაპარაკში ბევრ ქართულ სიტყვებს ურევენ)-შემდეგ ამისა ერთმა მოხუცებულთაგანმა სთქვა, რომ ამ ბოლო ოცს წელიწადში ამისთანა მოსავლის პირი არ გვინახამსო, არ ვიცით ბოლოს რას ინებებს ღმერთიო. მართლაც კარგი მოსავალი სჩანს. წრეულს თითქმის მთელ ქართლში, მომეტებულად ცხინვალის ახლო მახლო სოფლებში ს. ჯავამდინ. ჯავის ზევით, თუმცა არა ვყოფილვარ, მაგრამ მნახველნი ემადრიელებიან. მაგრამ ყველგან შიში აქვთ წვიმებისა, რომელიც ამ ბოლოს დროს ძლიერ გახშირდა. 21-ს და 22-სა ამ თვისას საშინელი დიდი წვიმები იყო ჯავის ხეობაში, 22-ს ცხინვალის მახლობელ სოფლებშიც ძლიერ იწვიმა დილის 10 საათამდინ, რისგამოც ყანები და ქერები სულ დაწვნენ; იმედია კიდევ წამოდგეს ჭინახული, თუ წვიმამ თავი დაგვანება. ამავ წვიმების შედეგი იყო დიდ ლიახვის მომატება, რომელმაც ზოგს წისქვილი მოსტაცა, ზოგს ჭალა, ზოგს ბაღა, ზოგს ვენახი და სხვა-დასხვა.

ჭინახულზედ ლაპარაკმა ისე გამართო, რომ ნიხასში ბასს თავი დავანებე. მივუბრუნდები ისევ ამასვე. ერთმა მოხუცებულთაგანმა მითხრა: «თქვენ გეცოდინებათ თუ რამე წყალობა გამოგვივიდა ხემწიფის დაგვირგვინების გამო». მეც ვუთხარი რამდენადაც მათ შეეხებოდა მანიფესტი. შემდეგ ამისა, მკითხეს: «სხვა ახალი ამბავი რაღა ისმის გაზეთებიდგან»? რაც მამაგონდა მათთვის საყურადღებო, ვუთხარი. მათი ყურადღება მიიქცია უფრო ორმა ამბავმა, ერთი მათგანი იყო «Новое Время»-ს ცნობა სამზღვარ გარეთ გავრცელებულ ხმაზედ დიდს სამხედრო მზადებაზედ რუსეთში

---

სრულიად გაუოხრებია. მოუმკელ ყანაში საქონელს აძოვებენ. საწყლებს ყანები ფეტვ-სიმინდისათვის დაუხნავთ.

მალე ალაზნის ხიდზე მივედით. მარჯვნივ სულ ყანებიანი ველებია და შიგა და შიგ ჭალიანი; ალაზნის მარცხნივ კი მდიდარი ტყეები; ზოგიერთი ადგილი დაბურულია, შეუვალი.

გავედით ხიდზედ და მივედით ჭიაურს. მთელი ჭიაური ლაგოდეხამდის (30 ვერ. მეტი) ჩოლაყაშვილისაა. აქ აშენებენ მრავალ ღორს, ცხენსა და ძროხას. წინ ზედი-ზედ ღორის ჯოგები შეგვხვდა. ეს ყველა ქიზიყელებს ეკუთვნით: ტყე-ღრე, მინდვრები ქიზიყელებით სავსე იყო. ზოგს ყანით დაუზურგავს ურემი და მიდის, ზოგს ურემი დაუცლია და ყანაში დაბრუნებულა, ზოგი მკის, ზოგი აქ დაფუსფუსებს, ზოგი იქ. ერთის სიტყვით, მთელი ეს ადგილი სიცოცხლით სავსეა.

მივდივართ ლაგოდეხისკენ და ქიზიყელობა ისე აღარ ეტყობა აქაურობას, ჭარელთ გავლენა სჩანს. ცხოვრება უფრო ყუჩდება, მოძრაობას აკლდება. ლაგოდეხიდამ იწყობა ჭარი, ანუ ზაქათალის მაზრა. ლაგოდეხში რუსის პოლკი სდგას. რუსის სალდათები რაღაცა მოჩვენებასავით თეთრად მოჩანდენ ლამის წყვდიადში. ლაგოდეხი გრილი, მოუშენებელი ადგილია. დასაბამი მასა აქვს კახეთის მეფის არჩილისაგან. «ლაგოეთი» მოინათლა (შემდეგში) ლაგოდეხად. ჭიაურიდგან და აქედგან ს. კახ-ყარაღანამდის იწყობა მრავალ გვართა მცენარეთა სამეფო. ჩვენ რიქრაქზე ს. ბელაქანში მივედით. ხილი, ხილი და ხილი. ხალხი გალეკებული ქართველია. მოჩანან უწინდელი მონასტრები, სახლები, შენობები. დერბენდიდან მოტანილი კედელი და მისი კოშკები სოფ. კატეხში ვნახეთ. ბუნების სიმდიდრესთან—დიდი სიღარიბე. ლეკების (მულალების) ცხოვრებას უზრუნველობა ეტყობა. ხალხი ამაყია; მიხვრა-მოხვრაშიაც სიამაყე ეტყობა. აქა-იქ ბრინჯები ახლად ამწვანებულან. აქვე ახლოს ზაქათალა თავის ციხით, მცხოვრებნი არიან სომხები, რუსები და ორიოდე ქართველებიც. ქალაქი ლამაზია. ეს არის უმთავრესი ძარღვი მთელის მაზრისა. ვაჟებისა და ქალების სკოლა, სახელოსნო სასწავლებელი. ვენახები და ბაღები უხვია. ჭარელნი მშვენიერ ყარაბაღულ ცხენებზე სხედან. ლაპარაკობენ ჩქარა-ჩქარა. აცვიათ ჩერქეზულად. ზაქათალის სტანციაში შეგვხვდა მიწის-მზომავი. ნუხის მაზრაში დურბინდით მიწას ვზომავდით. ლეკები შეიყარნენ, მოვიდნენ და მითხრეს, —ეხლავე გაგვეცალე, თორემ დაგხვრეტავთო; მეც გამოვიქეცით. აქედგან მივედით ვარდოვანში. ხაშმიანი ადგილია; მონგოლნი სცხოვრობენ შიგა. აქ გორაზე არის სასახლეები, ძველი სენაკები, საყდრები, სულ გაოხრებული. აქვე არის ს. ზერნა თავის «ზარნა» ბრინჯით. აქედგან სულ ათი ვერსია კახამდის. მარცხნივ კავკასი, იქით შირაქი, შუაში ალაზნის ველი. ტყეები, ყანის ზღვა და აგერა კახიც...

მოსე ჯანაშვილი.

სოფ. კახი.

და მეორეც რუსულ გაზეთებისვე ცნობა მასზედ, რომ იმ კომისიას, რომელიც საპყრობილეების გადაკეთების თაობაზედ იყო შემდგარი, გადაუწყვეტია მოისპოს დამნაშავეთა გაგზავნა ციმბირში, სხვა შორეულ გუბერნიებში და აგრეთვე კავკაზიაში. პირველი ამბავი გაესარდათ და მკითხეს: «როდის იქნება ომისო, აქედგან წაიყვანენ ჯარისთვის კაცებს, რას მისცემენ თითოს მათგანს?» მე ვუპასუხე: ომი ჯერ ნამდვილი არ არის, აქედგან კაცის წაყვანაზედ არა ისმის რა მეთქი. აქავე მომაგონდა ჩვენის ქვეყნებიდგან ჯარის კაცების გაყვანაზედ, როგორც რუსეთშია. ეს ამბავი მეტად ეწყინათ და სთქვეს: მართალია ცოტა გამოვფხიზლდებით, გავიწვრთნებით, მაგრამ თან გავღარიბდებით, თავად ეხლაც სული კბილით გვიჭირავსო. ჯარისთვის რომ ახალგაზდა კაცი გაიყვანონ, ჩვენ რაღა გვეშველება, ვიღა იქნება ჩვენს ოჯახებში მოწაღმართე, მოხუცებულები, უძლურები და ბავშვები ვიღამ არჩინოს, მრავალ გვარი ხარჯი ვიღამ გამოიტანოსო?

ამ საგანზედ რომ გავათავეთ ლაპარაკი, დამიწყეს მეორე ამბავზედ ე. ი. დამნაშავების ციმბირში გაგზავნის მოსპობაზედ ეს გადაწყვეტილება არ მოეწონათ ოსებს; ამბობდენ: ისინი ეხლა ავაზაკობას და სხვა ბოროტ-მოქმედებას შიშის გამო ჰერიდებით და მაინც მათი რიცხვი ბევრია. ეს ამბავი აქაც რომ შემოვიდეს, ხომ უფრო გავრცელდება მათი რიცხვიო. მე დავუწყე დამშვიდება, ვუხსნიდი ამ გარდაწყვეტილობის ნამდვილს მნიშვნელობას, მაგრამ ვერ დავითანხმე, ისინი ისევ თავისას იმახდენ; ჩვენზედ მალა, შიში უფრო მოქმედობს, ვიდრე კაცთ-მოყვარეობა.

ამ საგანზედ მოვსპეთ ლაპარაკი. შემდეგ ამისა ვკითხე მათ ძველ შენობების ნაშთებზედ და სხვა საყურადღებო საგნებზედ. ამის პასუხად მიმითითეს ჯავის დასავლეთ მდებარე მახლობელ გორასკენ, სადაც არის ეკლესიის რკინის კარები და დანგრეულის ეკლესიის კედლები. ეს ეკლესია, როგორც მათ მითხრეს, თამარ მეფის დროს არის აშენებული. ამათვე მითხრეს, რომ ს. ზემოღვწეში არის პატარა ვერცხლის ყუთი, წარწერილი ბერძნულის ენით. მე ამ გზობით ვერა ვნახე ეს ყუთი და ნაწერის შინაარსიც ამიტომ ვერ გადმოგეცით; ამ ყუთის ერთ მხარეზედ დახატულია თურმე 12 მოციქული; ყველა მოციქულის ადგილას ინახება რომელიმე წმინდანის ნაწილი, ეს მხარე ყუთისა ცალკეც გამოიღება. მეორე მხარეზედ არის დახატული იესო ქრისტე, ღვთის მშობელი და სხვა წმინდანები. ამ ყუთს, როგორც თვითონვე მითხრეს, მათგანვე ამორჩეული კაცნი ინახვენ.

ქართლელი.

23-ს ივნისს.

---

## განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ქართულს ენაზე რავდენიმე ქადაგებანი, განსვენებულს არხიეპისკოპოსი ხერსონისა და თავრიზისა ფრიად საჭირო და სასარგებლო მოძღვრებთ პირთათვის. (3—1)

## ფოთში

მეორე გილდიის მოვაჭრე

მოსე დავითის-ძე

კ ა კ ა ბ ა ძ ე

ვაცნობებ პატივცემულ საზოგადოებას, რომელთაც დღემდინ ჩემთან კამისიით საქმე ჰქონიათ დაჭერილი საქონლის გაგზავნ-გამოგზავნის, ყიდვის და გაყიდვისაზედ და ან აწ აპირებდეს საქმის დაჭერას, უმორჩილესად ვსთხოვ, რადგან ამ მდგომარე 1883 წელში შემთხვევით ბათუმში არ გარდავდივარ, ისევ ფოთში მომმართონ.

(3—1) მ. დ. კაკაბაძე.

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, ხელთათმანები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—99)

### ინგლისური რკინის კრაოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხათვანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის ხელთათმანები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—81)

---

ინგლისის მაღაზიაში

## თმის-ამომყვანი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—98)

## მაჯ-მასტერა

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

## შპალერები

ვერცხლის მედალი.

აუარებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით

ძმათა ტარნოპოლების

ქარხნის ადგის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ნარდათ მყიდველთ დაეთმობათ. (40—30)

## საგლობუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო — ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვრისა კალმები, უოველის ,,ხელისათვის''—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები. პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტულები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საექიმო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—37)

---

2000 ბოთლი ციტრატ-მაგნეზიისა წყურვილის მოსაკლავად 80 კ., 1000 ყავის საფქავი 1 მანეთიდამ, 3000 საურველი 20 კაპეიკიდამ, 4000 ჩამოსაკიდებელი 5 კ. ინგლისის მაღაზიაში.

იქვე კარბოლის პარაშოკი, უნაგირები, რევოლვერები, ჩულქები, წინდები და გუტაპერჩის პალტოები 25% იაფად სხვებზედ. პარუსინა და კაცის წამოსასხამები ნახევარ ფასად. (10—3)

## მაზანდა

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 თიბათვიდამ 1 კათათვემდის.

გამომცხვარი პური ხორბლის ფქვილის:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 | გირ. | 5½ |
| მეორის — | —1 | გ. | 4 კ. |

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5½ |
| მეორის — | —1 | გ. | 4½ |

ჯვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5½ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 9 კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის

9 საათზედ და 46 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ

2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ

1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ

9 საათზედ დილისა.

რიონიდგან თბილისისკენ

2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდგან თბილისისკენ

9 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ

9 საათ. და 41 წამ. დილისა.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის

12 საათზედ ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში

8 საათ. და 46 წამ. დილისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა